
PDF-XChange Editor
Click to BUY NOW!
www.tracker-software.com



PDF-XChange Editor
Click to BUY NOW!
www.tracker-software.com

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი

გამოყენებული წესები - **„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“**

ჩამოთვალეთ შენობის დაკავებულებები და აღწერეთ თითოეული გამოყენება
1. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (ავტოსადგომი -9.40 და -3.00 ნიშნულებზე)
2. საქმიანი ჯგუფი სქ (საოფისე ფართები -6.50 ნიშნულზე)
3. დამხმარე ჯგუფი დს (სახანძრო ტუმბოს და ავზის სივრცე, დამხმარე სათავსები -6.50 ნიშნულზე)
5. საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (საცხოვრებელი ბინები ±0.00, +3.50, +6.80, +10.10, +13.40 და +16.70 ნიშნულებზე)

კონსტრუქციის ტიპი:	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის არსებული შენობისთვის: მაგალითი: II-A, II-B, V-A, V-B	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის ტიპი ახალი შენობისთვის: მაგალითი: II-A, II-B, V-A, V-B	**I-B** მიწის ქვემოთ 1 სართული **I-B** მიწის ზემოთ 8 სართული
შერეული კონსტრუქციის შემთხვევაში მიუთითეთ ტიპები, რომელიც გამოყენებული იქნება, განსაზღვრეთ ტიპები და მათი მდებარეობა:	

PDF-XChange Editor
Click to BUY NOW!
www.tracker-software.com

სიმაღლის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	დასაშვები სართულიანობა	შემოთავაზებული სართულიანობა
1. სასაწყობო ჯგუფი სწ-2	11 სართული	2 სართული
3. საქმიანი ჯგუფი სქ	11 სართული	1 სართული
4. დამხმარე ჯგუფი დს	5 სართული	1 სართული
5. საცხოვრებელი ჯგუფი სც-2	11 სართული	6 სართული
	დასაშვები სიმაღლე	შემოთავაზებული სიმაღლე
შენობის საერთო სიმაღლე =	48.80	27.2
მიწის ზემოთ სართულის რაოდენობა =		8
მიწის დონის ქვედა სართულის რაოდენობა =		1

ფართობის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით			
დაკავებულობები		დასაშვები ფართობი კვ.მ.	შემოთავაზებული ფართობი კვ.მ.
1..სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (ავტოსადგომი)	-9.40	7340	834.1
2. საქმიანი ჯგუფი სქ (საოფისე ფართები)	-6.50	შეუზღუდავი	509.8
3. დამხმარე ჯგუფი დს (სახანძრო ტუმბოს და ავზის სივრცე, დამხმარე სათავსები)		3300	242.2
3. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (ავტოსადგომი)	-3.00	7340	834.2
5. საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (საცხოვრებელი ბინები)	±0.00	შეუზღუდავი	692.3
6. საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (საცხოვრებელი ბინები)	+3.50	შეუზღუდავი	673.8
7. საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (საცხოვრებელი ბინები)	+6.80	შეუზღუდავი	675.4
8. საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (საცხოვრებელი ბინები)	+10.10	შეუზღუდავი	673.4

PDF-XChange Editor Click to BUY NOW! www.tracker-software.com

ბ[illegible]ოვრებელი ჯგუფი სც-2 (საცხოვრებელი [illegible]სები)	**+13.40**	**შეუზღუდავი**	**671.7**
. საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (საცხოვრებელი ბინები)	**+16.70**	**შეუზღუდავი**	**674.7**
იატაკის საერთო ფართობი =		**6483.4**	
იატაკების რაოდენობა =		**მიწის დონის ქვედა 1 + მიწის დონის ზედა 8**	
შენობის საერთო ფართობი =		**6383.5 + 44.5 (-9.40 ნიშნ) + 109.0 (-6.50 ნიშნ) + 44.4 (-3.00 ნიშნ) + 261.7 (0.00 ნიშნ) + 90.5 (+3.50 ნიშნ) + 90.5 (+6.80 ნიშნ) + 90.5 (+10.10 ნიშნ) + 90.5 (+13.40 ნიშნ) + 90.5 (+16.70 ნიშნ) + 42.8 (+20.00 ნიშნ) = 7338.4**	

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები

ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით

გარე კედელი	**ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი** (მეტრი)	**ცეცხლმედეგობის ხარისხი** (საათი)		**კედლის ღიობების ფართობი** (კედლის %)					
				დასაშვები			**გათვალისწინებული**		
		მოთხოვნილი	**გათვალისწინებული**	**დაცული**	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**	**დაცული**	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**
„ა-თ“ ღერძებში	9-ზე მეტი	0	0	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	**შეუზღუდავია**	-	-	**აკმაყოფილებს**
“5-4” ღერძებში -6.50 ნიშნულზე	3.2 (მინიმალური)	1	2	45%	45%	**15%**	-	-	**11%**
“3-2” ღერძებში -3.00 ნიშნულზე	2.8 (მინიმალური)	1	1	25%	25%	**10%**	-	-	**0**
“4-1” ღერძებში ±0.00 ნიშნულზე	2.3 (მინიმალური)	1	1	25%	25%	**10%**	-	-	**0**
“4-1” ღერძებში +3.50-დან +16.70 ნიშნულების ჩათვლით	0.8 (მინიმალური)	1	1	დაუშვებელია	დაუშვებელია	**დაუშვებელია**	-	-	**0**

PDF-XChange Editor Click to BUY NOW! www.tracker-software.com

ლ-ა“ ღ ძებში	9-ზე მეტი	0	0	შეუზღუდავია	შეუზღუდავია	**შეუზღუდავია**	-	-	მაქ ბ
“4-5” ღერძებში -6.50 ნიშნულზე	3.7 (მინიმალური)	1	2	45%	45%	**15%**	-	-	**12%**
“2-3” ღერძებში -3.00 ნიშნულზე	4.7 (მინიმალური)	1	2	75%	75%	**25%**	-	-	**0**
“1-4” ღერძებში ±0.00 ნიშნულზე	4.1 (მინიმალური)	1	1	45%	45%	**15%**	-	-	**0**
“1-4” ღერძებში +3.50-დან +16.70 ნიშნულების ჩათვლით	2.5 (მინიმალური)	1	1	დაუშვებელია	დაუშვებელია	**დაუშვებელია**	-	-	**0**

ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები									
დაკავებულობები/სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	**ავტოსაშხეფი სისტემა**	**ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემა**	**სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები**	**სახანძრო მილდგარების სისტემები**	**კვამლის საკონტროლო სისტემები**	**ხელის ცეცხლმაქრები**	**საავარიო განგაშის სისტემები**	**ხანძრის მართვის ცენტრი**	**სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი**
სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (ავტოსადგომი)	**კი** (-9.40)	-	**საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა**	-	-	**კი**	–	-	**კი** (ეზოში)
საქმიანი ჯგუფი სქ	**კი** (-6.50)	-	-	-	-	**კი**	–		
დამხმარე ჯგუფი დს (დამხმარე სათავსები)	**კი** (-6.50)	-	-	-	-	**კი**			
დამხმარე ჯგუფი დს (სახანძრო ტუმბოს და ავზის ოთახი)	-	–	**კვამლის ავტომატური აღმომჩენი**	-	-	**კი**	–		

PDF-XChange Editor
Click to BUY NOW!
www.tracker-software.com

საცხოვრებელი ჯგუფი სც-2	-	_	კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები	-	-	-	_		
კიბის უჯრედები	-	_	1.სახანძრო განყოფ. კავშირის სისტემა 2.საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა 3.კვამლის ავტომატური აღმომჩენი	კი	მექანიკურად განიავებადი ვესტიბიული	-	_		
დერეფნები	კი (-6.50)	-	1.საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა 2. სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები		-	-	-		
ლიფტი	-	_	სახანძრო განყოფ. კავშირის სისტემა	-	დაწნევის სისტემა	-	_		
ლიფტის ფოიე (-9.40 და -3.00)	-	_	კვამლის ავტომატური აღმომჩენი	-	-	-	_		
ლიფტის სამანქანო	-	-	კვამლის ავტომატური აღმომჩენი	-	-	-	-		
ჰაერის კონდიცირების სისტემები	-	-	არხის კვამლაღმომჩენი (საჭიროების მიხედვით)	-	-	-			

PDF-XChange Editor Click to BUY NOW! www.tracker-software.com

განიავებისადმი მოთხოვნები		
დაკავებულობები/სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	ბუნებრივი განიავება	ხელოვნური განიავება
სასაწყობო ჯგუფი სწ-2	კი	კი
საქმიანი ჯგუფი სქ	კი	-
დამხმარე ჯგუფი დს	-	კი
საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (ბინები)	კი	-
კიბის უჯრედი და ვესტიბიული	-	კი
ლიფტის ფოიე (-9.40 და -3.00)	-	კი
ლიფტის შახტა	კი	-
დერეფანი	-	კი

თითოეული სართულიდან და სივრციდან გასასვლელი საშუალება									
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	მოთხოვნილი გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა	გათვალისწინებული გასასვლელების/ გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა და ტიპი	გასასვლელი საშუალებების სიგანე (მეტრი)					
				გზა-კიბეები		დერაფანი,		გასასვლელის გზა-კარი	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული (თავისუფალი)
-9.40 ნიშნულზე	სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (ავტოსადგომი) დ.დ. 45	2	2 (გზა-კარი)	-	-	_	_	0.82	0.88
-9.40 ნიშნულზე სართულს დ.დ. 45		2	2 (გზა-კიბე)	1.10	1.20	-	-	0.82	0.88
	საქმიანი ჯგუფი სქ (საოფისე ფართები) დ.დ. 28 დ.დ. 27	1 (თითოეულს)	1 (გზა-კარი) (თითოეულს)	-	-	-	-	0.82	0.82

PDF-XChange Editor
Click to BUY NOW!
www.tracker-software.com

-6.5 ნიშნულზე	დამხმარე ჯგუფი დს დ.დ. 3 დ.დ. 2 დ.დ. 3	1 (თითოეულს)	1 (გზა-კარი №003, №005) 2 (გზა-კარი №002)	-	-	-	-	0.82	0.8
-6.50 ნიშნულზე სართულს ს.დ.დ. 63		2	2 (გზა-კიბე)	1.10	1.20	1.20	1.55	0.82	0.88
-3.00 ნიშნულზე	სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (ავტოსადგომი) დ.დ. 45	2	2 (გზა-კარი)	-	-	_	_	0.82	0.88
-3.00 ნიშნულზე სართულს დ.დ. 45		2	2 (გზა-კიბე)	1.10	1.20	-	-	0.82	0.88
±0.00 ნიშნულზე	საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (საცხოვრებელი ბინები)	2	2 (გზა-დერეფანი)	-	-	1.20	1.60	-	-
±0.00 ნიშნულზე სართულს		2	2 (გზა-კარი)	-	-	-	-	0.82	0.88
+3.50 ნიშნულზე	საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (საცხოვრებელი ბინები)	1 (თითოეულს)	1 (გზა-კარი) (თითოეულს)	-	-	-	-	0.82	0.88
+ 3.50 ნიშნულზე სართულს ს.დ.დ. 36		2	2 (გზა-კიბე)	1.10	1.20	1.20	1.70	0.82	0.88
+6.80 ნიშნულზე	საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (საცხოვრებელი ბინები)	1 (თითოეულს)	1 (გზა-კარი) (თითოეულს)	-	-	-	-	0.82	0.88
+ 6.80 ნიშნულზე სართულს ს.დ.დ. 36		2	2 (გზა-კიბე)	1.10	1.20	1.20	1.70	0.82	0.88
+10.10 ნიშნულზე	საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (საცხოვრებელი ბინები)	1 (თითოეულს)	1 (გზა-კარი) (თითოეულს)	-	-	-	-	0.82	0.88
+ 10.10 ნიშნულზე სართულს ს.დ.დ. 36		2	2 (გზა-კიბე)	1.10	1.20	1.20	1.70	0.82	0.88
+13.40 ნიშნულზე	საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (საცხოვრებელი ბინები)	1 (თითოეულს)	1 (გზა-კარი) (თითოეულს)	-	-	-	-	0.82	0.88

PDF-XChange Editor Click to BUY NOW! www.tracker-software.com

13.40 ნიშნულზე სართულს ს.დ.დ. 36		2	2 (გზა-კიბე)	1.10	1.20	1.20	1.70	0.82	0.88
+16.70 ნიშნულზე	საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 (საცხოვრებელი ბინები)	1 (თითოეულს)	1 (გზა-კარი) (თითოეულს)	-	-	-	-	0.82	0.88
+ 16.70 ნიშნულზე სართულს ს.დ.დ. 35		2	2 (გზა-კიბე)	1.10	1.20	1.20	1.70	0.82	0.88

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა

ცხრილი 1602.1-ის მიხედვით

სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	ფიქსირებული მოწყობილობები (ცალი)											
		უნიტაზი		ტუალეტის ხელსაბანები		აბაზანა/შხაპი		სასმელი წყლის აპარატი		სამომსახურეო ნიჟარა		სამზარეულოს ნიჟარა	
		იმპულსური ონკანებით	ონკანებით წყალგაყვანილობა	იმპულსური ონკანებით	ონკანებით წყალგაყვანილობა	იმპულსური ონკანებით	ონკანებით წყალგაყვანილობა	იმპულსური ონკანებით	ონკანებით წყალგაყვანილობა	იმპულსური ონკანებით	ონკანებით წყალგაყვანილობა	იმპულსური ონკანებით	ონკანებით წყალგაყვანილობა
-9.40 ნიშნულზე	სწ-2 დ.დ. 45	-	-	-	-	-	-			-	-	-	-
-6.50 ნიშნულზე	საქმიანი ჯგუფი სქ (საოფისე ფართები) ს.დ.დ. 55	2 ა	2 ქ	2 ა	2 ქ	-	-	1	2	1	1	-	-
	დამხმარე ჯგუფი დს (სახანძრო ტუმბოს და ავზის სივრცე, დამხმარე სათავსები) ს.დ.დ. 8	-	2 ქალი, 2 კაცი + 1 (შშმპ)	-	2 ქალი, 2 კაცი + 1 (შშმპ)	-	-	-		-	1	-	-
-3.00 ნიშნულზე	სწ-2 დ.დ. 45	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-


PDF-XChange Editor
Click to BUY NOW!
www.tracker-software.com


წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა-საცხოვრებელი ჯგუფი


სც-2 ჯგუფი


ცხრილი 1602.1-ის მიხედვით


სართულები	საცხოვრებელი ერთეულები	ფიქსირებული მოწყობილობები									
		უნიტაზი (ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)		ტუალეტის ხელსაბანები (ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)		აბაზანა/შხაპი (ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)		სამზარეულოს ნიჟარა (ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)		ავტომატური სარეცხი მანქანის მისაერთებელი	
		მოთხოვნილი	გათვალისწ.	მოთხოვნილი	გათვალისწ.	მოთხოვნილი	გათვალისწ.	მოთხოვნილი	გათვალისწ.	მოთხოვნილი (ბაღანაში 20 სგდ.)	გათვალისწ. (ბაღანაში ათით სგდ.)
+0.00 ნიშ.	ბინები №1; №2; №3; №4; №5; №6; №7; №8; №9; №10; №11; №12;	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
+3.50 ნიშ.	ბინები №1; №2; №3; №4; №5; №6; №7; №8; №9; №10; №11; №12;	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
+6.80 ნიშ.	ბინები №13; №14; №15; №16; №17; №18; №19; №20; №21; №22; №23;	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
+10.10 ნიშ.	ბინები №24; №25; №26; №27; №28; №29; №30; №31; №32; №33; №34; №35;	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
+13.40 ნიშ.	ბინები №36; №37; №38; №39; №40; №41; №42; №43; №44; №45; №46; №47	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
+16.70 ნიშ.	ბინები; №48; №49;№50; №51; №52; №53; №54; №55; №56; №57; №58;	1	1	1	1	1	1	1	1	1	1

	სახანძრო მილდგარი
	სახანძრო განყოფილებასთან კავშირის სისტემა
	საბანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა
	ხელის ცეცხლსაქრობი
	სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი - ჰიდრანტი
	კვამლის ავტომატური აღმომჩენი
	კვამლზე მორეაგირე მაუწყებელი
	ავტოსაშხეფი
	სახანძრო განგაშის ღილაკი
	საკაბასტრო საზღვარი
	განაშენიანების რეგულირების ხაზი
	ღერძის ხაზი
	ჭრილის ხაზი
	საპროექტო ნიშნული
	აბსოლიტური ნიშნული
	60 წუთიანი ხანძარმედეგი კედელი
	120 წუთიანი ხანძარმედეგი კედელი
	გაძცევის მიმართულება ევაკუაციის დროს მარჯვნივ და მარცხნივ
	გაძცევის მიმართულება ევაკუაციის დროს ზევით და ქვევით
	წყლის დასალევი აპარატი








რკინაბეტონის სტრუქტურული ელემენტი; სვეტი, კოჭი, დიაფრაგმა, ფილა 2სთ-ზე მეტი ცეცხლმედეგობით


ბლოკის კედელი


ღიობი ფილაში


დაკავებულობის ჯგუფის აღნიშვნები


საცხოვრებელი ჯგუფი (სც2)


სასაწყობე ჯგუფი (სწ2)


საძმიანი ჯგუფი (სძ)

გეგმა. მ 1:50


1
2
260
10
94
192
90
60
30
19 x 17 = 323
28
28
28

PDF-XChange Editor
Click to BUY NOW!
www.tracker-software.com

ექსპერტის განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში 2018 წლის 01 ოქტომბერს დარეგისტრირდა №AR1628646 განაცხადი, ქალაქ თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩაძე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.14.027.058) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის შეთანხმების მოთხოვნით. აღნიშნულ განაცხადზე თანდართული იყო საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის შეფასება, საექსპერტო დასკვნის სახით. აღნიშნულ ობიექტზე არქიტექტურის სამსახურის მიერ 2018 წლის 01 ნოემბერს, გაიცა №4246298 ბრძანება და შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, მოგვიანებით 2018 წლის 20 ნოემბერს №4271703 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა, ხოლო 2019 წლის 24 ივნისს AR1685410 ბრძანებით გაიცა ნებართვა კორეკტირებულ პროექტზე.

ამის შემდგომ მოხდა პროექტის კორექტირება, რაც გამოიხატება სავაჭრო სართულზე (+0.00 ნიშნულზე) საცხოვრებელი ბინებით გადაკეთების ცვლილებაში. დამკვეთის დავალებით ექსპერტის მიერ მოხდა კორექტირებული პროექტის გადამოწმება და კორექტირების შედეგად გამოწვეული ცვლილებების ასახვა საექსპერტო დასკვნაში.

პატივისცემით,

გიორგი ღუდუშაური

PDF-XChange Editor
Click to BUY NOW!
www.tracker-software.com

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.14.027.058) დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

პროექტის ავტორი: ზაზა ჯოლოხავა

ექსპერტი: გიორგი ღუდუშაური

თ ბ ი ლ ი ს ი

2 0 1 8

PDF-XChange Editor
Click to BUY NOW!
www.tracker-software.com

საფუძველი: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ. № № 13-15, 17,17ა,19,19ა, 21, 21ა, 21ბ (ს/კ 01.10.14.027.058)

ობიექტის ფუნქციური დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

საპროექტო ორგანიზაცია/პროექტის ავტორ(ებ)ი: შ.პ.ს. „ლაინ ჯორჯია“, ზ. ჯოლოხავა

საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

1) დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
2) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
3) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;
5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;
6) მისაწვდომობის შეფასებას;
7) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
8) სახურავის ანაწყობების შეფასებას;
9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;
10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;
11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

ასევე საექსპერტო დასკვა მოიცავს:

12) ლიფტების შეფასებას;

13) ავტომობილებთან დაკავშირებული მოთხოვნების შეფასებას.

საექსპერტო დასკვნის შესადგენად ექსპერტიზისათვის გადმოცემულია მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

PDF-XChange Editor
Click to BUY NOW!
www.tracker-software.com

1. ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე (აღნიშნული მოიცავს: თავფურცელს; ფურცლების ჩამონათვალს; პირობით აღნიშვნებს; დაგეგმარების მიზნის აღწერას; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზს)
2. შენობა-ნეგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს
3. სიტუაციურ სქემას
4. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალას
5. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმას –1:500 მ
6. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი მიწის ნაკვეთის გეგმას (გენგეგმა)
7. შენობა-ნაგებობების განთავსებასა და სიმაღლეებს
8. გეგმებს, ჭრილებს, ფასადებს
9. დეტალების ფრაგმენტულ ნახაზებს
10. დაკავებულობისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმებს (აღნიშნული მოიცავს: დაკავებულობის დატვირთვებს; გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობებს; გასასვლელებს; გასასვლელთან მისადგომებს; გასავლელებსა და შენობიდან გამოსასვლელებს; გასასვლელამდე სავალ მაქსიმალურ მანძილებს; მისაწვდომობის სვლაგეზს; ცეცხლმედეგობის ხარისხიან მოთხოვნილ გამმიჯნავებს; გამოყენებულ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებს)
11. შენობის ვიზუალიზაციას

შენიშვნა:<u>მოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.</u>

<u>გადმოცემული მასალა აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების 47 მუხლის მიხედვით არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას და სრულად იძლევა საშუალებას ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.</u>

გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა:

1. **დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასება:**

პროექტში გათვალისწინებული დაკავებულობები კლასიფიცირებულია „წესების“ მესამე თავის მიხედვით და აკმაყოფილებს 302-ე ქვეთავის ყველა მოთხოვნას. პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

PDF-XChange Editor
Click to BUY NOW!
www.tracker-software.com

1) **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი -9.40 ნიშნულზე და ღია ავტოსადგომი გარაჟი -3.00 ნიშნულზე);

<u>აღნიშნული შეესაბამება 311.3 ქვეთავს.</u>

2) **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს** (სახნძრო ავზების და ტუმბოების ოთახები და დამხმარე სათავსები -6.50 ნიშნულზე;

<u>აღნიშნული შეესაბამება 312.1 ქვეთავს.</u>

3) **საქმიანი ჯგუფი სქ** (საოფისე ფართები -6.50 ნიშნულზე).

<u>აღნიშნული შეესაბამება 304.1 ქვეთავს.</u>

4) **საცხოვრებელი ჯგუფი სც-2** (საცხოვრებელი ბინები +0.00 -დან +16.70 ნიშნულის ჩათვლით).

<u>აღნიშნული შეესაბამება 310.3 ქვეთავს.</u>

საპროექტო შენობის დაკავებულობებისთვის სწორედ არის განსაზღვრული დაკავებულობის დატვირთვები ანუ 1004.1.2 ცხრილის მიხედვით არჩეულია სივრცეების დანიშნულება და შემდგომ ამ სივრცეების იატაკის ფართობები გაყოფილია, ზემოხსენებული ცხრილის შესაბამის, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორებზე, კერძოდ:

PDF-XChange Editor
Click to BUY NOW!
www.tracker-software.com

- ავტოსადგომი გარაჟებისთვის (**სწ-2**) მიკუთვნებულია ავტოსადგომი გარაჟების სივრცის სტატუსი და შემდგომ თითოეული დონის მთლიანი ფართობი გაყოფილია 18,6-ზე;

- **(დს)** ჯგუფის დაკავებულობის ფართობებისთვის მიკუთვნებულია დამხმარე სათავსების და მექანიკური მოწყობილობების ოთახის სტატუსი და შემდგომ ამ ოთახების/სივრცეების მთლიანი ფართობები გაყოფილია 27,9-ზე;

- **(სქ)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის მიკუთვნებულია საქმიანობის წარმოების (ბიზნეს) სივრცის სტატუსი და შემდგომ ამ სივრცეების მთლიანი ფართობები გაყოფილია 9,3-ზე.

- ბინებისთვის **(სც-2)** მიკუთვნებულია საცხოვრებელი ფართობების სტატუსი და შემდგომ თითოეული ბინის (საცხოვრებელი ერთეულის) მთლიანი ფართობი გაყოფილია 18,6-ზე.

<u>დაკავებულობის ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვების გამოანგარიშება განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.</u>

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- შენობის კონსტრუქციულ ტიპად განსაზღვრულია **I-B** ტიპი, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სართულიანობის, სიმაღლისა და ფართობის მიხედვით და სრულიად აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს.

PDF-XChange Editor
Click to BUY NOW!
www.tracker-software.com

(ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის კონსტრუქციული ტიპების მიხედვით იხ. 601 ცხრილში)

კონსტრუქციული ტიპის შერჩევა განხორციელებულია „წესების“ მიხედვით.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- დაკავებულობების და კონსტრუქციული ტიპის (**I-B**) გათვალისწინებით საპროექტო შენობის სიმაღლე (შესაბამისად სართულიანობა) და ფართობი აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს;

- შენობა არის მაღლივი, რომლის მაქსიმალური სიმაღლე მიწის დონიდან 27.2 მეტრია, ხოლო შენობის ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 24.95 მ-ზე ანუ 23.0 მ-ზე მაღლა და 37.0 მ-ზე დაბლა და შესაბამისად საპროექტო შენობას ეხება მაღლივი შენობების გარკვეული რეგულაციები, რაც „წესების“ თანახმად დადგენილია 37.0 მ-ზე დაბალი შენობებისთვის;

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „წესების“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება:

შენობის ყველა სართულს, დაკავებულობებიდან, დაკავებულობის დატვირთვებიდან, სართულიანობიდან და გასასვლელთან მისადგომი

PDF-XChange Editor Click to BUY NOW! www.tracker-software.com

მაქსიმალური სავალი მანძილებიდან გამომდინარე (ცხრილი 1021.2(1) და 1021.2(2)), ესაჭიროება მინიმუმ 2 გასასვლელი, რაც პროექტით გათვალისწინებულია, კერძოდ:

- ±0.00 სართულზე საცხოვრებელი ბინების ფართობის გარდა ყველა სართულის გასასვლელებს წარმოადგენს შიგა გასასვლელის 2 გზა-კიბე, რომლებიც ერთმანეთისგან 9,0 მეტრზე მეტი მანძილით არის დაშორებული და აკმაყოფილებს 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო ამ გზა-კიბეებთან მისადგომი გზა-კარები ერთმანეთისგან, 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნათა შესაბამისად, დაშორებულია სართულის ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის ნახევარზე მეტი მანძილით. გზა-კიბეები ±0.00 ნიშნულზე მიემართება პირდაპირ შენობის გარეთ, რაც აკმაყოფილებს 1022.3 ქვეთავის მოთხოვნებს. ორივე გზა-კიბე გრძელდება სახურავის ზედაპირამდე, რაც აკმაყოფილებს 1009.16 ქვეთავის მოთხოვნებს;

- 1022.10 ქვეთავის თანახმად, ვინაიდან საპროექტო შენობა არის მაღლივი, გზა-კიბეები უნდა იყოს კვამლისგან დაცული შემოზღუდული სივრცის ნაწილი ან დაწნევადი გზა-კიბეები. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია პირველი ვარიანტი ანუ უშუალო შემომზღუდავებთან ერთად გზა-კიბეებს გააჩნია 909.20 ქვეთავით გათვალისწინებული ვესტიბიულები, რომლებიც ნიავდება მექანიკურად;

- 1022.1 ქვეთავის თანახმად გზა-კიბეები დანარჩენი სივრცეებისგან შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით (გაძლიერებული ბეტონის დიაფრაგმებით). რაც შეეხება გზა-კიბეების გარე კედლებს, მართალია ეს კედლებიც წარმოადგენს გაძლიერებული ბეტონის სტრუქტურულ ნაწილებს (დიაფრაგმებს), რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათია, მაგრამ ამ შემთხვევაში გარე კედლების ცეცხლმედეგობის მოთხოვნილი ხარისხი, 602 ცხრილის მიხედვით, 1 საათს არ აღემატება და შესაბამისად ამ კედლებში მოწყობილი, 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე,

PDF-XChange Editor
Click to BUY NOW!
www.tracker-software.com

მინა-ბლოკის ჩანართები არ ეწინააღმდეგება „წესების“ მოთხოვნებს. გა
კიბეებთან მისადგომი ღიობები დაცულია 1,5 საათიანი ცეცხლმედეგობის კარის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს.

შენიშვნა №1: ცეცხლმედეგი კარის ანაწყობი 716.5.3.1 ქვეთავის მოთხოვნებს უნდა *აკმაყოფილებდეს, რომლის მიხედვით კვამლისა და წვის მაკონტროლებელი* კარის ანაწყობი UL 1784-ის შესაბამისად უნდა შემოწმდეს ძირში ხელოვნული საგმანავის განთავსების გარეშე.

შენიშვნა №2: კვამლისგან დაცულ შემოზღუდულ სივრცეში კვამლაღმომჩენის გააქტიურების შედეგად კარი თავისით ან ავტომატურად უნდა იკეტებოდეს, რომელიც დაყენებულია კვამლისგან დაცული შემოზღუდული სივრცის იატაკის მხარეს მდებარე შესასვლელთან. ნებისმიერ კარზე დაყენებული კვამლაღმომჩენის გააქტიურებამ უნდა ამუშავოს კვამლისგან დაცული შემოზღუდული სივრცის ყველა დონეზე მდებარე ყველა კარის დამკეტი მოწყობილობები. კვამლაღმომჩენები უნდა განთავსდეს 907.3 ქვეთავის შესაბამისად. ავტომატურად დაკეტვადი კარების ავტომატურად დახურვას, კვამლაღმომჩენის გააქტიურების შემდეგ 10 წამზე მეტი არ უნდა დასჭირდეს.

შენიშვნა №3: 1006.2 ქვეთავის თანახმად გზა-კიბეების და ზოგადად გასასვლელი საშუალებების განათებულობა სავალი ზედაპირის დონესთან 11 ლუქსზე ნაკლები არ უნდა იყოს. 1006.3 ქვეთავის თანახმად დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს გასასვლელი საშუალებები და დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

- ±0.00 ნიშნულზე განთავსებულ საცხოვრებელ ბინებს გააჩნია 2 გასასვლელი გზა-დერეფნის სახით. ამ გასასვლელებს შორის მანძილი, 1015.2.1 ქვეთავის თანახმად, შეადგენს სართულის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის ნახევარზე მეტს;

PDF-XChange Editor
Click to BUY NOW!
www.tracker-software.com

- -6.50 ნიშნულზე განთავსებულ ოფისებს გააჩნია დამოუკიდებელი გა[illegible] გასასვლელის გზა-კიბეები, რომლებიც სრულდება -9.40 ნიშნულზე (ასევე მიწის დონეზე), მაგრამ ეს კიბეები ვერ ჩაითვლება აუცილებელ გასასვლელ საშუალებად, რადგან არ გააჩნია საკმარისი ცეცხლგამყოფი მანძილები სამეზობლო საზღვრებთან.

- შენობიდან გამოსვლა/ევაკუაცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხდება ±0.00 ნიშნულზე, საიდანაც უკვე საზოგადოებრივ სივრცეში ანუ საირმის ქუჩაზე მოხვედრა შესაძლებელია დაუბრკოლებლად, საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით;

- -9.40 და -3.00 ნიშნულებზე განთავსებული სართულების (გარაჟების სართულები) გარდა ყველა სართულზე გზა-კიბეებს აკავშირებს დერეფნები, რომლებიც მოწყობილია 1018 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. დერეფნებში მოწყობილია საჰაერო შახტები, რომლებიც შესაბამის მოწყობილობებთან ერთად უზრუნველყოფენ მექანიკური განიავებას;
  შენიშვნა : დენის გათიშვისას, სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს დერეფნები და დენით მომარაგებას უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს „წესების“ 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

PDF-XChange Editor
Click to BUY NOW!
www.tracker-software.com

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება:

- ორივე, ზემოთ განხილული შიგა გასასვლელი გზა-კიბის თავისუფალი სიგანე არის 1,20 მ, რაც აკმაყოფილებს 1005.3.1 და 1009.4 ქვეთავების მოთხოვნებს. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირები 1013 ქვეთავის შესაბამისად. სახელურები მოწყობილია კიბის ორივე მხარეს, 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს;

- ვესტიბიულების მინიმალური სიგრძე, გასასვლელისკენ სავალი გზის მიმართულებით, არის 2.25 მ, ხოლო სიგანე - 1.2 მ, რაც აკმაყოფილებს 909.20.1 ქვეთავის მოთხოვნებს;

- ყველა კარის (რომელიც არის გასასვლელი საშუალების ნაწილი/კომპონენტი) სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს ღიობის 0.82 მ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს;

- დერეფნები მოწყობილია 1018 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნების მინიმალური სიგანე არის 1,55 მ, რაც 1005.3.2 ქვეთავისა და 1018.2 ცხრილის მიხედვით დასაშვებ მინიმუმზე (1,20მ) მეტია;

- შენობ(ებ)ის ცალკეულ ფართობებში გათვალისწინებული გასავლელების სიგანეები აკმაყოფილებს 1017-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

<u>გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

PDF-XChange Editor Click to BUY NOW! www.tracker-software.com

6. მისაწვდომობის შეფასება:

- საპროექტო შენობის ყველა მთავარი შესასვლელი არის მისაწვდომი, რაც აკმაყოფილებს 1105.1 ქვეთავის მოთხოვნებს. შენობაში შესვლა-გამოსავლა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხდება ±0.00 ნიშნულზე, საიდანაც უკვე შშმ პირთათვის საზოგადოებრივ სივრცეში ანუ საირმის ქუჩაზე მოხვედრა შესაძლებელია დაუბრკოლებლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შენობაში მოსახვედრად პანდუსების მოწყობის საჭიროება არ არის;

- საპროექტო შენობის ყველა სართული არის მისაწვდომი, სადაც მოხვედრა შესაძლებელია შენობაში გათვალისწინებული 2 ლიფტის მეშვეობით (ორივე ლიფტის კაბინა ზომების მიხედვით არის მისაწვდომი), რაც აკმაყოფილებს 1109.7 ქვეთავის მოთხოვნებს;

  შენიშვნა : მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად რომ ჩაითვალოს, ლიფტი უნა აკმაყოფილებდეს საავარიო რეჟიმთან და განგაშის მოწყობილობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია ASME A17-ის 2.27 ქვეთავში. სათადარიგო ელექტრომომარაგება 1703-ე ქვეთავის შესაბამისად უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

- საქმიანი (სქ) დაკავებულობა უზრუნველყოფილია მისაწვდომი ტუალეტებით, რაც აკმაყოფილებს 1109.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ავტოსადგომ გარაჟებში დაცულია 1106.1 ქვეთავის და შესაბამისი ცხრილის მიხედვით გათვალისწინებული შშმ პირთა ავტომანქანის სადგომების რაოდენობა (თითო სადგომი);

- ყველა სართულის გეგმაზე ასახულია მისაწვდომი სვლაგეზი, რომელიც სწორად არის განსაზღვრული და აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს;

PDF-XChange Editor Click to BUY NOW! www.tracker-software.com

- ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების კომპონენტია, არის მისაწვდომი;

- გზა-კიბეების თავისუფალი სიგანე მოაჯირებს შორის არის 1,2 მ, რაც იმას ნიშნავს, რომ 1007.3 ქვეთავის თანახმად, ეს კიბეები ითვლება მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად;

- ვინაიდან საპროექტო შენობაში ძირითადად (**სც-2**) დაკავებულობებია გათვალისწინებული, გზა-კიბეების ფარგლებში თავშესაფრის ფართობების მოწყობის საჭიროება, 1007.3 ქვეთავის №6 გამონაკლისის თანახმად, არ არის.

<u>შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.</u>

7. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- „ა-თ“ და „თ-ა“ ღერძებს შორის მოქცეული გარე კედლების ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები აღემატება 9,0 მეტრს და 602 ცხრილის თანახმად ამ კედლებს ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება. 705.8 ცხრილის მიხედვით ზემოხსენებულ გარე კედლებში მოწყობილი ღიობების ფართობი არის შეუზღუდავი;

- რაც შეეხება დანარჩენ გარე კედლებს, მათი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები 9,0 მ-ზე ნაკლებია და 602 ცხრილის მიხედვით მოეთხოვება 1 საათიანი ხანძარმედეგობა, რაც პროექტით გათვალისწინებულია ამ კედლებში მოწყობილი ღიობების (დაუცველი საშხეფებით) ფართობი შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს;

- დაცულია 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნები მომიჯნავე სართულების გარე კედლების ღიობების ერთმანეთისგან შვეულ დაშორებებთან მიმართებაში;

PDF-XChange Editor
Click to BUY NOW!
www.tracker-software.com

- საპროექტო შენობას გააჩნია 705.11 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილი პარაპეტი;

შენიშვნა: ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების (მათ შორის პარაპეტის) დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, ასევე გარე კედლებში მოსაწყობი ღიობების ფართობი 602 და 705.8 ცხრილების მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების შესაბამისად არის გამოთვლილი და აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება:

- საპროექტო შენობის სახურავი არის რკინაბეტონის კოსტრუქციის, მრავალშრიანი ბრტყელი გადახურვა, მცირე ქანობით. გააჩნია წყალარინი ღარები და მილები.

- 601 ცხრილის მიხედვით შერჩეული კონსტრუქციის ტიპიდან (I-B ტიპი) გამომდინარე სახურავის კოსტრუქციას და არაძირითად ნაწილებს უნდა გააჩნდეს 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, თუმცა პროექტის ავტორის მიერ გათვალისწინებულია ხანძარმედეგობის უფრო მეტი ხარისხი.

- როგორც ზემოთ ავღნიშნეთ სახურავი მოქცეულია პარაპეტის საზღვრებში;

PDF-XChange Editor
Click to BUY NOW!
www.tracker-software.com

- სახურავზედა ნაგებობების (კიბის, ლიფტის, შახტების და სხვა ნაწილების) ფართობი არ აღემატება საყრდენი სახურავის ფართობის ერთმესამედს, რაც აკმაყოფილებს 1509.2.2-ე პუნქტის მოთხოვნას.

შენიშვნა: სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით უნდა განეკუთვნოს B კლასს, თანახმად 1505.1ა ცხრილისა (B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას).

ჰიდროიზოლაცია უნდა მოთავსდეს კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში/ ლითონის ჰიდროიზოლაცია უნდა იყოს კოროზიამედეგი და, არანაკლებ, 0,5 მმ სისქისა.

შენობების გარეთ მოთავსებული წყალარინი ღარები და მილები არაწვადი მასალით ან, სულ მცირე, 40 ზომის პლასტმასის მილებით უნდა აიგოს.

სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება:

